ეს ფაქტები მეტყველებენ, როგორ საცხოვრებელი ფართობის შეფასებაში ... ორი პასპორტის მიღებას და ერთდროულად ორ ადგილზე ეწერებიან. მაგალითად, ნოდარ შალვას ძე ცისკარიძე, სკკ წევრი, 10 წელზე მეტია მუშაობს ადიგენის რაიონში, ცხოვრობს დაბა აბასთუმანში და იქვეა ჩაწერილი. მაგრამ ცისკარიძეს მეორე პასპორტიც აღმოაჩნდა, რომლითაც მუდმივად ჩაწერილი იყო თბილისში (ბაგლოვის ქ. № 55). ამავე წესით ინარჩუნებს ბინას მოქალაქე ა. ვ. წიტაიშვილი თბილისში (ზაქარიაძის ქ. № 5), რომელიც მეორე პასპორტით ჩაწერილია და ცხოვრობს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში.

ცხადია, დამრღვევთა მიმართ სათანადო ღონისძიებები ხორციელდება, მაგრამ სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ამ დანაშაულს სჩადიან ისინი, ვინც თავისი მდგომარეობით თვითონ არის ვალდებული იბრძოლოს ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ.

ახლა, როცა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საპასპორტო რეფორმის დამამთავრებელი სამუშაოები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველგან, ყველა უბანზე საპასპორტო სისტემის წესების განუხრელ დაცვას. საჭიროა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უფრო მკაცრად გამოიყენონ კანონი იმათ მიმართ, ვინც ჯერ კიდევ ცდილობს მის დარღვევას.

გ. ჯინჭარაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

ᲛᲒᲝᲚᲘ ᲙᲣᲠᲓᲦᲚᲘᲡ ᲥᲣᲠᲐᲥᲨᲘ

ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ იმ ჯგუფიდან, რომელიც ახალი თვითმომსახურების უნივერმაღის გვერდით გამვლელ-გამომვლელებს ხშირად შეუნიშნავთ, ერთერთმა ხმამაღალ წამოძახა: არიქა, ბიჭებო, მილიციის მანქანა მოდისო, და სიბნელეში გაუჩინარდა. მალე მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს, მაგრამ ორმა ფეხი აითრია, მაღლაყინწურად მიიხედ-მიიხედა და იქვე მდგარ ავტომანქანაში დარბაისლურად შეჩერძანდა.

— მშიშრები! — გადაულაპარაკა ერთმა მეორეს, — მილიცია გამოჩნდა თუ არა, წიწილებივით დაიფანტნენ.

— სწორი ხარ, გამოუცდელები არიან და არც გაემტყუნებათ, — ღიმილით მიუგო მოსაუბრეს იმან, ვინც პირველი მოკალათდა საჭესთან.

ამასობაში მილიციის საპატრულო ავტომანქანაც მოვიდა.

— რატომ დგახართ ასე უდროო დროს აქ? გვიჩვენეთ ერთი, თქვენი პირადობის მოწმობები, ყმაწვილებო! — და მილიციელმა ავტომანქანაში შეიხედა.

— მოწმობები არა, სხვას კიდევ ხომ არაფერს მოგვთხოვ? წადი, შენს გზას ეწიე... — გაიღიზიჯა საჭესთან მჯდარი.

ერთი ესეიგია, შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკთა გამაფრთხილებელმა საუბარმა არ გაჭრა, ახალგაზრდები უხეშად ექცეოდნენ წესრიგის დამცველებს, ბოლოს უწმაწური სიტყვების კორიანტელიც დააყენეს, ქუჩაში ხალხი შეგროვდა.

ორგანოს მუშაკებმა ხულიგნებს მოსთხოვეს დამორჩილებოდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელებმა არათუ მარტო სიტყვიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, არამედ ხელიც კი გამოიღეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ...

ვინ არიან ეს ახალგაზრდები, ეგრეთ წოდებული „ასფალტის ბიჭები“, როგორც მათ ქუთაისში უწოდებენ? დიახ, ისინი, მართლაც რომ, „ასფალტის ბიჭები“, პარაზიტული ელემენტები გახლავან, არსად არ მუშაობენ, დანაშაულისათვის რამდენჯერმე აქვთ მოხდილი სასჯელი, მაგრამ არა და არა, არ სურთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაებან.

აი ისინი: ავთანდილ ამირანის ძე ჩიხლაძე, რომელსაც მეტსახელად „კვეჭოს“ ეძახიან, და ავთანდილ ნოდარის ძე კობეშავიძე (მეტსახელად „კობალა“) კარგა ხანია, რაც მეგობრები არიან, კაცმა არ იცის, საიდან დაუკავშირდნენ ისინი ერთმანეთს. პირველმა ხულიგნობისათვის, ხოლო მეორემ ქურდობისათვის სასჯელები უკვე მოიხადეს. ეგონათ, რომ ამჯერად მაინც მოვიდოდნენ გონს, მაგრამ ქურდობა თან სულსა და გულშია გამჯდარი, უქმად ხეტიალსა და პარაზიტულ ცხოვრებაში კლავენ დროს.

ავთანდილ ჩიხლაძე 1956 წელს არის დაბადებული, მეუღლეც ჰყავს და შვილიც, დედაც და მამაც. ამბობენ, მამამისმა ამირან ჩიხლაძემ, რომელიც ერთ-ერთ საწარმოში დაცვის უფროსად მუშაობს, მშვენიერად მოაწყო თავისი პირადი ცხოვრება, ოჯახში ერთის მაგივრად ორი მსუბუქი ავტომანქანა აქვთო, მაგრამ უბედურება ის არის, შვილს — ავთანდილს ვერაფერი მოუხერხა ქურდობისათვის იხდიდა სასჯელს!

აი, ვინ არიან ეს უმაქნისები, ჰაერს რომ წამლავენ თავიანთი პარაზიტული ცხოვრებით, ცუდი მაგალითთან მრავალ მოზარდსა და სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდას რომ უმღვრევენ გონებას.

მერედა, სად არიან ამ დროს მშობლები, ახლობლები, ნათესავები, ცოლ-შვილი? ხელი ჩაქნეს? მაგრამ, ვინ მისცა მათ ხელის ჩაქნევის უფლება?

ცოდვა გამხელილი სჯობსო, და ჩვენც პირდაპირ უნდა ვთქვათ: შარშანდელი წლის დამლევს და წლევანდელი წლის დამდეგს ქუთაისში ამ მხრივ ერთობ გართულდა მდგომარეობა, იმატა დანაშაულმა. შინაგან საქმეთა სამმართველოსა და რაიონულ განყოფილებებში ჩაფიქრნენ. საჭირო გახდა ყოველ მხრივ გაანალიზებინათ შექმნილი ვითარება და სასწრაფო ზომები მიეღოთ კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ძველი მეთოდებით მუშაობა უკვე აღარ გამოადგებოდათ. უფრო მეტად კვირის რომელ დღეებსა და საათებში ხდება დანაშაული? როგორი დანაშაული ჭარბობს? — პირველად სწორედ ეს საკითხები იქცა ფართო მსჯელობის საგნად და აი, ოპერატიული მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის შედგა კომპლექსური — ოპერატიულ-სამძებრო და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა დანაშაულისადმი მიდრეკილების პირთა გამოვლენას, პროფილაქტიკურ-ოპერატიული მოქმედების ძალიერებას მოსალოდნელ დანაშაულობათა აღკვეთის, უკვე მომხდარ დანაშაულობათა გახსნის მიზნით ოპერატიულ ღონისძიებათა გაატარებისათვის.

ქალაქის ტერიტორია რამდენიმე სამოქმედო მიკრორაიონად დაიყო, შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანდნენ შინაგან საქმეთა სამმართველოს და განყოფილებათა გამოცდილი მუშაკები, სახალხო რაზმელები, აქტივისტები; თვით სამმართველოსთან შეიქმნა ეგრეთ წოდებული სპეციალური ფილტრაციის ჯგუფი შინაგან საქმეთა სამმართველოს, აგრეთვე პარტიის ქალაქო და რაიონული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების, პროკურატურის, სასამართლოს, პრესის მუშაკთა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. იგი განიხილავდა ერთხელ გზას აცდენილი, ვერ იქნა და, სწორ გზაზე ვერ დააყენეს.

— რა გინდათ, მე მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ, ჩემი მუშაობა არ შეიძლება, — ახლა ნიანგის ცრემლებს ღვრის და გაიძახის ავთანდილი, მაგრამ მგელმა რომ მოახერხოს და კურდღლის პირადობის მოწმობა რაღაც მაქინაციებით მოიპოვოს, საკუთარ სახეს მაინც ვერ დამალავს.

სასჯელის მოხდის მეორე დღესვე ძვირფასად ჩაცმულ-დახურული, უცხოური საათითა და სხვა ნივთებით შემკულ-მოკაზმული მოვლინა მეზობლებსა და ნაცნობებს ავთანდილ კობეშავიძე.

— რა იშოვა ამ კაცმა პატიმრობაში ამდენი? — მხრებს იჩეჩავენ მეზობლები, ზოგიერთი მოზარდის თვალში კი „ოპალა“ თავისებური გმირია. დილით გამოწკეპული მიემართება „ბირეულაკენ“, საღამოს — რესტორანი, დროს ტარება... ადა ერთი ვინმემ ჰკადროს და სიტყვა შეუბრუნოს... იგი ხომ ეკურდობისათვის იხდიდა სასჯელს!

ეს, ეს ... ეს ... ეს ...

გვაცყობინებენ საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების ჟურნალისტები

საერთაშორისო ცხოვრება ლენინგრადის ჟურნალზე

ინდირა განდის განცხადება

დელი, 10 მარტი. თავისი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად ინდოეთს მიაჩნია ის, რომ ყოველნაირად შეუწყოს ხელი დაძაბულობის შენელებას სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე, არ დაუშვას „ცივი ომის“ აღორძინება და მით უფრო მისი გადაქცევა „ცხელ ომად“, განაცხადა ქალაქ აჰმადაბადში პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ. პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ინდოეთის მთავრობის მეთაურმა უარყო დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს ცდები ჩაბან ინდოეთი ანტისაბჭოურ კამპანიაში ავიანეთის ამბებთან დაკავშირებით. „სად იყვნენ დასავლეთის სახელმწიფოები, როცა შეერთებულ შტატებმა, ხოლო შემდეგ ჩინეთმა მოახდინეს ინტერვენცია ვიეტნამის წინააღმდეგ? — განაცხადა ი. განდიმ. — სად იყვნენ ისინი ეგვიპტეში ინგლის-საფრანგეთის ინტერვენციის დროს?“.

ინდირა განდიმ ხაზი გაუსვა თავისი მთავრობის მისწრაფებას დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის პაკისტანთან და ჩინეთთან. „მაგრამ ამ ურთიერთობამ არ უნდა მიაყენოს ზიანი სხვა სახელმწიფოების ინტერესებს“, — თქვა მან.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა თავისი მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებას ყოველი ღონე იხმაროს ეკონომიკური სიძნელეების გადალახვისათვის, რომლებსაც ქვეყანა განიცდის, და უწინარეს ყოვლისა პირველი მოთხოვნილების საქონლის ფასების დაკლებისათვის. ჩვენი პარტია, თქვა მან, ენერგიულად იბრძვის სიღარიბისა და უმუშევრობის წინააღმდეგ. მაგრამ იმისათვის, რომ ამ ბრძოლამ შესამჩნევი შედეგები მოგვცეს, საჭიროა დრო. ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში მთავარი ყურადღება დაეთმობა 20 პუნქტისაგან შემდგარი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროგრამის განხორციელებას. ეს პროგრამა, განაცხადა მან, მიზნად ისახავს უწინარეს ყოვლისა, მიწის რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას.

ავტონომიზაციის პროცესი დამთავრდა

ვაშინგტონი, 10 მარტი. ცნობილი გახდა შედეგები ბასკთა რეგიონალური პარლამენტის გუშინდელი არჩევნებისა, რომელიც ბასკთა ქვეყნის ავტონომიის აღდგენის შესახებ დეკრეტში შესაბამისად მოეწყო. აქ სამოქალაქო ომის შემდეგ პირველად ჩატარდა არჩევნები.

ფარდობითი უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მიიღო ბასკთა ეროვნულმა პარტიამ, რომელსაც 60-დან 25 დეპუტატი ეყოლება. ბასკეთის კომუნისტური პარტია წარმოდგენილი იქნება ერთი დეპუტატით. მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ მმართველი დემოკრატიული ცენტრის კავშირის პოზიციები შესუსტდა.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ძალზე ბევრმა შეიკავა თავი: რეგისტრაციაში გატარებულ ამომრჩეველთა 41 პროცენტზე მეტი საარჩევნო უბნებში არ მისულა.

უახლოესი კვირების განმავლობაში გამარჯვებული პარტიის ლიდერი ჩამოაყალიბებს რეგიონალურ მთავრობას. ბასკთა ეროვნული პარტია, რომელსაც აბსოლუტური უმრავლესობა არა აქვს, იძულებულია შევიდეს კოალიციაში სხვა პოლიტიკურ ძალებთან.

კანონმდებლობის თანახმად, ბასკთა მთავრობას საკმაოდ ფართო უფლებები ექნება ადგილობრივი დაბეგვრის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სასამართლო საქმეთა წარმოების, ადრეთვე უშიშროების დაცვის საკითხების გადაწყვეტაში.

არჩევნებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ესპანეთის პოლიტიკური ცხოვრებისათვის, რადგან ამთ დამთავრდა ორი წლის წინათ დაწყებული ბასკეთის ავტონომიზაციის რთული პროცესი. ავტონომიის მიღწევამ ხელი უნდა შეუწყოს აქ მეტად მწვავე ეროვნული საკითხის გადაწყვეტას, ადრეთვე მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის დაძლევას. საყმარისია ითქვას, რომ უმუშევრობის დონე ბასკეთში თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში.

ირანის ამბები

თეირანი. თეირანში ახალი მასობრივი ანტიამერიკული დემონსტრაცია გაიმართა. დემონსტრანტები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობის წინ შეიკრიბნენ მას შემდეგ, რაც ქალაქში ხმა გავარდა, რომ მძევლები საელჩოდან უნდა გადაეყვანათ სხვაგან, სადაც ისინი ისლამური რევოლუციური საბჭოს სპეციალური კომისიის განკარგულებაში იქნებოდნენ.

დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ პლაკატები, რომლებზედაც ეწერა: „ჩვენ ამერიკის ჯაშუშთა ბუდის ხელში ჩაგდების მომხრენი ვართ“, „მძევლების საკითხი აიათოლა ხომეინის მომდევრებმა უნდა გადაწყვიტონ“, „მოვითხოვთ ყოფილი შაჰის გადმოცემას“, „სიკვდილი ამერიკის იმპერიალიზმს!“.

ხომეინის სამდივნომ ყუმში გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც უარყოფს ზოგიერთი გაზეთის ცნობებს, თითქოს მძევლთა გადაყვანის ბრძანება აიათოლა ხომეინმა გაეცეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ირანის რევოლუციის ლიდერი ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებას მომავალ პარლამენტს ანიჭებს.

თეირანი. როგორც ირანის ფარსის სააგენტო იუწყება, კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა კიდევ ერთი დივერსია ჩაიდინეს ირანის სამხრეთ ნაწილში ნავთობსადენის ხაზზე. მათ აფეთქეს დიდი დიამეტრის ორი მილი შუშ-ანდიმეშკის და ზარღან-ახვაზის გზატკეცილს შორის. რამდენიმე ცდის შემდეგ ხანძარი ჩაიქრეს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა

ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიურო იუწყება, რომ ქვეყნის მოსახლეობა 1970 წლის აპრილიდან 1979 წლის ივლისამდე გაიზარდა 8,3 პროცენტით და შეადგინა 220 მილიონ 99 ათასი. მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მატება აღნიშნულია კალიფორნიის, ტეხასისა და ფლორიდის შტატებში.

თეთრი სახლის კოშმარები

ამერიკელ მომხილველ ვ. ლოთვეტერანი ჯ. რესტონი ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერსა და მის უახლოეს თანაშემწეებს, გარეგნული „სიმშვიდისა და, ასე განსაჯეთ, ქედმაღლობის“ მიუხედავად, თეთრ სახლში ღამღამობით კოშმარები აწუხებთ. მათ არ ასვენებთ, — წერს იგი, — სამი ფარემოება: ფასების შეუჩერებელი ზრდა და საბანკო პროცენტის განაკვეთების მომატება, მოულოდნელი გამოჩენა ახალგაზრდებისა, რომლებიც ეხებიან ტესტს აცხადებენ და პრესისა და მოკავშირეთა სულ უფრო მეტი უნდობლობა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური კურსისადმი“.

ყველა კოშმარიდან თეთრი სახლის ყველაზე მეტ თავის ტკივილს, როგორც ყველაფრიდან ჩანს, იწვევს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. სიძვირის ზრდა ყველა წინანდელ რეკორდს აჭარბებს. იანვარში ინფლაციამ წლიური გამოთვლითი შეფასებით 18 პროცენტს მიაღწია. ოფიციალური შემცირებული მონაცემებითაც კი, უმუშევრობამ 6-პროცენტიან ნიშნულს გადააჭარბა. გაიზარდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქონგრესს მოსთხოვენ დამატებითს სახსრებს უკვე განკუთვნებული 161,8 მილიარდი დოლარის გადამეტებით.

„ეს ნიშნავს, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“, — რომ იმათ, ვისაც შარშან ძლივს გაჰპრწყდა თავი, წელს კიდევ უფრო გაუჭირდება“, ხოლო რაც შეეხება თეთრი სახლის კოშმარებს, ეტყობა, ამას ბოლო არ უჩანს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტორიტეტიანი ჰარისის გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ, ამერიკელთა 77 პროცენტი უარყოფითად აფასებს კარტერის მოქმედებას ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. თეთრი სახლის მიერ წამოყენებულმა ქამრების მორიგი მოჭერის პოლიტიკამ შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს ეს პროცენტი.

გ. ზიუკინი.

თანამშრომლობის კანონებით





ბრაზილიის ბაიას შტატში, მდინარე სან-ფრანსისკუზე საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით შენდება ჰიდროელექტროსადგური „სობრადინიუ“.

ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატი უკვე იძლევა დენს.

ბრაზილიის სახელმწიფო და კერძო კომპანიები მოითხოვენ კვლავაც განვითარდეს ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა სსრ კავშირთან.

სურათზე: ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე.

ბანგლადეში. ჩიტაგონგის ელექტრომოწყობილობის ქარხანა საბჭოთა კავშირ-ბანგლადეშის თანამშრომლობის პირმშოა. ტრანსფორმატორები, ელექტროძრავები და სხვა პროდუქცია დიდ როლს ასრულებს ელექტრიფიკაციისა და ირიგაციის ეროვნული პროგრამების შესრულებაში.

სურათზე: საწარმოს საამქროში.

საკდეხის ფოტოქრონიკა.

ჯ. კარტერისა და ჰ. შმიდტის მოლაპარაკების შედეგების გამო

ვაშინგტონში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰ. შმიდტის მოლაპარაკება.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადება აშკარად მიზნად ისახავს ცხადყოს მხარეების ერთიანობა და თანხმობა მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის შეფასებისა და მათი სამერმისო პოლიტიკის ორიენტაციის დროს. მართალია, განცხადებაში ბევრია ისეთი ფორმულირება, რომლებიც სხვადასხვაგვარად შეიძლება აიხსნას და იმაზეც მიგვანიშნებს, რომ დოკუმენტის ავტორთა პოზიციები ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ სავსებით უეჭველია, რომ მთავარ საკითხებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა გაიზიარა თავისი უფროსი პარტნიორის თვალსაზრისი. ეტყობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი სულ უფრო მეტად იკავებს კარტერის ადმინისტრაციის იმ დიბულებათა მხარდაჭერის პოზიციას, რომელთა მიზანია მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის შეცვლა, დასავლეთის საზღვრთან ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

განცხადების ის ნაწილი, რომელიც ეხება მდგომარეობას ახლო და შუა აღმოსავლეთში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, მოწმობს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც ეკრძალა სოლიდარობის ნიშნით მოქმედებს, აქაც მხარს უჭერს ჯ. კარტერს, მის ცდებს, რომ ეს რაიონი დაუმორჩილოს ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონისტური პოლიტიკის, გადაკეთოს ამერიკის ბატონობის ზონად, რაც უზეშ ძალას, სხვა სახელმწიფოების საქმეებში სამხედრო და ეკონომიკურ ჩარევას ემყარება.

განცხადება შეიცავს მსჯელობას „აღოსავლეთში საბჭოთა ჯარის შესახებ“, რამაც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, უნდა მიიფიზეჩოს საკითხი, თუ რატომ გახდა საჭირო, სსრ კავშირს სამხედრო დახმარება აღმოუჩინონ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის და მხოლოდ არის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები შეწყვიტოს ყოველგვარი ჩარევა, რომელიც მიმართულია ავღანეთის კანონიერი მთავრობისა და ამ ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ. კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ასეთი გარეშედ ჩარევის შეწყვეტა და იმის გარანტია, რომ იგი არ განმეორდება, ამ რაიონში შექმნილი რთული სტუაციის პოლიტიკური მოწესრიგების უცილობელ პირობად რჩება.

მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობაში დასავლეთევროპელი სპორტსმენების მონაწილეობის საკითხში ფედერალური მთავრობის მეთაური ნელ-ნელა ამერიკის პოზიციას ემხრობა. ამავე დროს ბონს, როგორც ჩანს, სურს დრო მოიგოს და რამენაირად შეინელოს ვაშინგტონის მოქმედებით გამოწვეული საზოგადოებრიობის აღშფოთება, ამიტომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურად წარმომადგენელმა ამერიკის დელეგაციაში განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ფედერალური მთავრობა მიმდინარე წლის მაისში აპირებს.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ჰ. შმიდტმა მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც ამტკიცებდა, რომ ანის „ნიუანსები მხარეთა პოზიციებში“ და „მათი ინტერესების ერთგვარი განსხვავება“ სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ერთობლივი განცხადება, იმაზე მეტყველებს, რომ დასავლეთ გერმანიის პოლიტიკის ყველა ნიუანსი, როგორც აღმოჩნდა, ამერიკის მოთხოვნებს, ვაშინგტონის დიდმპყრობელურ პრეტენზიებს ექვემდებარება. (საკადეი).

ამერიკელ ფილოსოფოსთა ერთობლივი ინიციატივა

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ძლიერდება კომუნისტების არჩევნებისწინა კამპანია. ვერმონტისა და მენის შტატებში აქტიურად მიმდინარეობს ხელმოწერის შეგროვება პეტიციებზე პრეზიდენტის არჩევნებში კენჭის საყურადღებოდ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის გეს ჰოლისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ანჯელა დევისის კანდიდატურების დასახელების შესახებ. ისინი კენჭს იყრიან შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის პოსტებზე.

ბამაკო. დასავლეთ საჰარის თვითგამოცხადებულ სახელმწიფოებისა და დამოუკიდებლობის უფლებას მხარი დაუჭირა საჰარის ექვსი სახელმწიფოს უმაღლესი დონის თათბირმა, რომელიც აქ გაიმართა. თათბირში მონაწილეობდნენ მუსა ტრაორე (მალი), შადელი ბენჯედიდი (ალჟირი), სეინი კუნჩე (ნიგერი). მოჰამედ ჰუნა ულდ ჰეიდალა (მავრიტანია), ჰუკუნი უედეი (ჩადი) და ანდელ სალამ ჯელუდი (ლიბია). თათბირის მონაწილეებმა დაამტკიცეს აგრეთვე ექვსი ქვეყნის ეკონომიკური, ტექნიკური, კულტურული და სოციალური თანამშრომლობის პროგრამა.

ტოკიო. მასობრივ დათხოვნას, უფრო დაბალ თანამდებობებზე გადაყვანას და ხელფასის შემცირებას ითვალისწინებს „რაციონალიზაციის“ კამპანია, რომლის დაწყებაც გამოაცხადა იაპონიის სახელმწიფო რკინიგზების ადმინისტრაციამ. ეს კამპანია შეეხება 22 ათას მუშასა და მოსამსახურეს, ამასთან 5 ათასზე მეტკაცს ხამუშაოდან დაითხოვენ. თავი რომ დააღწიონ სახელმწიფო ბიუჯეტის უზარმაზარ დეფიციტს, ხელისუფლებამ 1980 წლისათვის დასახეს რკინიგზების პერსონალის შემცირება 70 ათასი კაცით, ადგილობრივი მნიშვნელობის მთელი რიგი ხაზების დახურვა, რომელთა სიგრძე, დაახლოებით 5 ათას კილომეტრს შეადგენს.

ბამაკო. დასავლეთ საჰარის თვითგამოცხადებულ სახელმწიფოებისა და დამოუკიდებლობის უფლებას მხარი დაუჭირა საჰარის ექვსი სახელმწიფოს უმაღლესი დონის თათბირმა, რომელიც აქ გაიმართა. თათბირში მონაწილეობდნენ მუსა ტრაორე (მალი), შადელი ბენჯედიდი (ალჟირი), სეინი კუნჩე (ნიგერი). მოჰამედ ჰუნა ულდ ჰეიდალა (მავრიტანია), ჰუკუნი უედეი (ჩადი) და ანდელ სალამ ჯელუდი (ლიბია). თათბირის მონაწილეებმა დაამტკიცეს აგრეთვე ექვსი ქვეყნის ეკონომიკური, ტექნიკური, კულტურული და სოციალური თანამშრომლობის პროგრამა.

ყოველი მხრიდან

10 მარტი

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ძლიერდება კომუნისტების არჩევნებისწინა კამპანია. ვერმონტისა და მენის შტატებში აქტიურად მიმდინარეობს ხელმოწერის შეგროვება პეტიციებზე პრეზიდენტის არჩევნებში კენჭის საყურადღებოდ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის გეს ჰოლისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ანჯელა დევისის კანდიდატურების დასახელების შესახებ. ისინი კენჭს იყრიან შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის პოსტებზე.

ბამაკო. დასავლეთ საჰარის თვითგამოცხადებულ სახელმწიფოებისა და დამოუკიდებლობის უფლებას მხარი დაუჭირა საჰარის ექვსი სახელმწიფოს უმაღლესი დონის თათბირმა, რომელიც აქ გაიმართა. თათბირში მონაწილეობდნენ მუსა ტრაორე (მალი), შადელი ბენჯედიდი (ალჟირი), სეინი კუნჩე (ნიგერი). მოჰამედ ჰუნა ულდ ჰეიდალა (მავრიტანია), ჰუკუნი უედეი (ჩადი) და ანდელ სალამ ჯელუდი (ლიბია). თათბირის მონაწილეებმა დაამტკიცეს აგრეთვე ექვსი ქვეყნის ეკონომიკური, ტექნიკური, კულტურული და სოციალური თანამშრომლობის პროგრამა.

პრეტენდენტთა მატჩებზე

თბილისში

მეოთხე პარტიაში გაფრინდაშვილმა შავებით პირველად მიმართა საინტერესო დაცვითს სისტემას, რომელიც 40-იან წლებში დამუშავა საბჭოთა დიდოსტატმა რაფაიელიანმა. გურიელმა, რომელიც თავიდანვე თამაშის გამწვავებისაკენ მიისწრაფოდა, უკვე მეექვსე სვლაზე შესწორა პაიკი. მერვე სვლაზე ამ პაიკის დაბრუნებინაცვლად მან ახლებური გეგმა აირჩია და შეეცადა შავი მეფის ფრთის დასუსტებას. მე-16 სვლაზე ახალგაზრდა პრეტენდენტმა საკუთარი სწორი გადაწყვეტილება მიიღო — მეორე პაიკის შეწირვით კიდევ უფრო გააძწვავა თამაში. გაფრინდაშვილი დიდ დროს ანდომებდა სვლების მოფიქრებას. ამასთან მისი მეჩვიდმეტე სვლა, ეტყობა, მცდარი იყო. გურიელი ლაზიერით დაუყოვნებლივ შეიჭრა შავების ბანაკში, მსოფლიოს ექსჩემპიონის მეფეს როჩის გაკეთების უფლება დაუკარგა და უკან დაიბრუნა ორივე შეწირული პაიკი. დაფაზე მატერიალური წონასწორობა აღდგა, მაგრამ თეთრი ლაზიერი და ეტლი სახიფათო მუქარებს ქმნიდნენ. დაცვის ორგანიზება ძნელი გახდა, ამასთან გაფრინდაშვილი სასტიკ ციაიტნოტშიც აღმოჩნდა. აქ მან ვერ გამოიყენა კონტრთამაშის მიღების შესაძლებლობა, რომელიც 24-ე სვლაზე მიეცა. გურიელმა ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ კი შავი მხეფრის დაჭერის მუქარაც შექმნა და 30-ე სვლაზე მსოფლიოს ექსჩემპიონი აიძულა შეეწყვიტა წინააღმდეგობა. ეს გურიელის პირველი გამარჯვებაა.

გურიელი — გაფრინდაშვილი
მეოთხე პარტია



აქ გურიელმა აირჩია ძალიან მწვავე გაგრძელება: 16. d5 ლ:d5 17. ეad1 ლe4 18. ლd2 მc6 19. ლd7+მფf8 20. მf3 h6 21. ლ:c7 მფg7 22. ეd7 ეhf8 23. ლ:b7 ეab8 24. ლc7 ეb1 25. ე:b1 ლ:b1+ 26. მფg2 ლe4 27. ეd6 მh8 28. ლ:a7 ეc8 29. ეb6 მc6 30. ლb7 და შავები დანებდნენ.

კისლოვოდსკში

მეხუთე პარტია კვირას არ გამართულა. ალექსანდრიამ პირველად ამ მატჩში გამოიყენა ტაიმაუტი. ანგარიში ქვლავინდებურად თანაბარია — 2:2.

ფელდენში

ამსტრიის ამ ქალაქში დაიწყო მსოფლიოს ექსჩემპიონ პეტროსიანისა და ყორჩნოის მეოთხედფინალური მატჩი. პირველი პარტია გადაიდგა 41-ე სვლაზე. გაიმართა მეორე პარტიაც, რომელიც ყაიმით დამთავრდა.

ჭადრაკი

ქალთა ჩემპიონატი

გუშინ გაიმართა საკავშირო ჯარის გამოჩენილ ოსტატ ნონა გაფრინდაშვილსა და ჯუნიორთა ჩემპიონ ალექსანდრა ბორდოვიცას შორის. ბორდოვიცა-რუსთაველის ზონის (მეოთხე) გუნდებმა ასე იასპარეზეს:

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. თბილისის „დინამო“ — ოდესის ასკ — 3:0 (1:0).

თბილისელებმა გუშინდელი მატჩიც ისეთი, როგორც წინა სეზონის შეხვედრები, ძალების დაოქმაბავად ჩაატარეს, დამაჯერებლად გაიმარჯვეს და ჯგუფურ ტურნირში ქალთა მაქსიმუმით (10) პირველი ადგილი მოიპოვეს. მატჩის დაწყებიდან 3 წუთიც არ იყო გასული, რომ მინაშვილმა აიღო ოდესელთა კარი. ამის მერე დინამოელთა ანკეთა უპირატესობას დიდხანს არ მოჰყოლია გოლი. და ეს მოხდა მაშინ, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ველოდით... 51-ე წუთზე ოდესელთა მეკარემ ბურთი თავის ერთ-ერთ მცველს მიუგორა, მაგრამ მაკ ჩილებაძემ დაასწრო და ანგარიში ორამდე გაზარდა, ხოლო 61-ე წუთზე გუცაევმა იმარჯვა და გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა — 3:0.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, სულაქვაძეთიძე (კოსტავა), ჩიკვანი, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (ქორიძე), გუცაევი, მინაშვილი (გ. მაჩაიძე), ჩილებაძე.

მაშ ასე, დამთავრდა თასის გათამაშების პირველი ტაპი. იწყება მომდევნო: თბილისელები 16 მარტს სიმფეროპოლში ადგილობრივ „ტავრიასთან“ მეორედფინალურ მატჩს გამართავენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დინამოელები ამჯერადაც არ შეირცხვენენ თავს. ამ იმედის საფუძველი კი ჩვენ განვლილმა ჯგუფურმა ტურნირმა მოგვცა. ასე ნაადრევად დაწყებული სეზონისათვის გუნდი უორგოდ არ არის მომზადებული. რაც მთავარია, ძირითადი შემადგენლობის პრეტენდენტთა რიცხვი საკმარისია. ეს უთუოდ კარგი სიმპტომია, ვინაიდან ერთობ გრძელი და ხანგრძლივი სეზონის განმავლობაში გუნდს თუ მეტი არა, 17-18 მოთამაშე მაინც დასჭირდება. დინამოელებს დიდი საფეხბურთოო მარათონი აქვთ დასაძლევი — სსრ კავშირის თასის გათამაშება, საკავშირო ჩემპიონატი და ევროპული ტურნირში მონაწილეობა. ამიტომ მისი წარმატებით დაძლევისათვის ოსტატობასთან ერთად გარკვეულწილად მნიშვნელობა ენიჭება ფეზბურთელთა ფიზიკურ მზადყოფნასაც.

და კიდევ ერთი: განვლილ ტურნირზე თბილისელთაგან საუკეთესო გოლეადორად მოგვევლინა ჩილებაძე: 5 მატჩში 6 გოლი გაიტანა. ესეც რომ არ იყოს, მან საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი სულ უკეთ და უკეთ ითამაშებს.

თბილისი. დიმიტროვის სახელობის ჭარნნის სტადიონი. ორჯონიკიძის „სპარტაკი“-ალმა-ათის „ყაზახეთი“ — 0:1.

რუსთავი. „მეტალურგის“ სტადიონი. ქუთაისის „ტორპედო“-ხაბაროვსკის ასკ — 3:0.

თბილისი-რუსთავის ზონაში მ ქულით მეორე ადგილზე გავიდა ალმა-ათის „ყაზახეთი“ და თბილისელთა მსგავსად ისიც მერვედფინალში ითამაშებს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ქუთაისის „ტორპედო“ — 4 ქულა, ორჯონიკიძის „სპარტაკი“, ხაბაროვსკის ასკ — 3-3 და ოდესის ასკ — 2 ქულა.

ჯ. ენუქიძე.

მოკლედ

ვადრაკი. მინსკელმა ვ. კუპრეიჩიკმა ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გამართულ ასპარეზობაში 8,5 ქულა დააგროვა და პირველობა მოიპოვა.

ცურვა. ლენინგრადში დამთავრდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოკურთალეთა შეხვედრა. გიმაყრავეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 185:159.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი

ტელევიზია

11 მარტი
თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიტურიენტებთვის — „ქართული ენა. (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვილიწყალობა ინგლისური ენა, (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება“, (ფ.), 19.15 — ტელემეცადინეობა — „ჩვენი კურსია მშვიდობიანი ატომენერგეტიკა“(ამბ. ლ. ი. ბრეჟნევი 1980 წლის 22 თებერვლის არჩევნებისწინა სიტყვა), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „გიჟვევთ საოჯახო კლუბი“. (ფ.), 21.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტასეირნობა“, 21.20 — „მეფის ჯიშიანი ფაფანები“. (ფ.), 22.00 — „ვრემია“, (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობაზე კალათბურთში. მოსკოვის ცსკა — თბილისის „დინამო“. 10 მარტის მატჩის მეორე გაიმის ვიდეოჩანაწერი. დასასრული — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.05 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვაური“ (ფ.), 16.00 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის. ფიზიკა. (ფ.), 16.30 — განცხადებები. (ფ.), 16.35 — საგელეევიზიო მხატვრული ფილმი „ხვალინდელი დღისათვის“, 17.45 — საუბნენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 18.35 — მხატვრული ფილმი „შავყურა თეთრი ბიმი“ მეორე სესია. (ფ.).

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — ვ. ჩერნიხი — „ობობოვის საქმე“. სპექტაკლი. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური ფილმები „ბუთწყლედის მოწონავები“, 16.50 — მშობლიური ბუნება, 17.10 — ლ. ბეთჰოვენი — № 2 სიმფონია რე მაჟორი, 17.50 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის გამო. ლენინურ ადგილებში. დოკუმენტური ფილმი „შორეული წარსული“, 18.30 — ჩუკოტკის ეს.ა.ს.რ.-ის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „ეროგორონნის“ კონცერტი, 18.55 — ტელესტუდია „ორლიონოკის“ ნორჩ კოსმონავტებთან შეხვედრა სოციალისტური შრომის გმირთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან, ელმავლის მშენებელ ს. ვ. იაკოვთან, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ჰოკეი. „სპარტაკი“ — ცსკა, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — ალმა-ნახი „პოეზია“. დამთავრების შემდეგ დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამით: 20.00 — ვიმსახურები საბჭოთა კავშირს!, 21.00 — „ძილი ნებისა, პაპარებო!“, 21.15 — საერთაშორისო პანორამა, 22.00 — მღერის ვ. შიშკაიდე, 22.40 — „ალგუნინი გადაწყვეტილებას იღებს“. მხატვრული ტელეფილმი. პირველი სერია.

თეატრი

11 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გრავიანა** (24-ე აბონ. მეორე წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის**; მცირე დარბაზი — **როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის** (თეატრალური ინსტიტუტის სადიპლომო სპექტაკლი); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ნოველეტა**; ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **პოპულარული სიმფონიური მუსიკის საკავშირო ფესტივალი „ბაზაფფლეო ოგბმეი“**; **ბეთ ეს 80“**; კონსერვატორიის მცირე დარბაზი — **სავიოლინო მუსიკის კონცერტი.**

ინფორმაციის

11 მარტი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ბოლოს ფეხბურთი“ (ფ.), 10.05 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 11.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 17.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 17.30 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 18.05 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 18.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 19.15 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 19.45 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 20.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 20.30 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 21.05 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 21.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 22.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 22.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 23.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 23.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 24.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 24.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 25.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 25.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 26.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 26.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 27.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 27.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 28.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 28.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 29.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 29.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 30.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 30.35 — „ბავშვთა ეკრანი“ (ფ.), 31.00 — „ბავშვთა ეკრანი“ (